

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ოქმი N1

25 მარტი, 2022 წელი

მიმდინარე წლის 25 მარტს, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორის მოადგილეები, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების “51 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად შეხვედრას თავმჯდომარეობდა რუსუდან სანაძე. საბჭოს სხდომა უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმნით.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ცენტრის დირექტორის მოადგილე ბატონი კახაბერ ერაძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის. დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ბატონმა ლაშა ზივზივაძემ, წარადგინა შეხვედრის დღის წესრიგი და საბჭოს წევრებს აცნობა, რომ შეხვედრის მიმდინარეობისას მათი საქმიანობა შეფასდებოდა გასულ წელს დამტკიცებული შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ასევე, შეახსენა, რომ წევრებმა თითოეული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, კენჭი უნდა უყარონ წარდგენილ საკითხებს.

დღის წესრიგის შესაბამისად, ბატონმა ლაშა ზივზივაძემ წარადგინა ცენტრის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში. ისაუბრა იმ შედეგებზე, რომლებსაც ცენტრმა 2021 წელს ინსტიტუციონალური განვითარების, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებებით, ცენტრის ფინანსურ მდგრადობასა და მის დამოუკიდებლობაზე მიაღწია. აღნიშნა, რომ მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, კითხვა-პასუხის ფორმატში საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ირმა ქურდაძემ კომენტარის სახით აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობა განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო და ემსახურებოდა განათლების ხარისხის განვითარებას. ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა კახაბერ ერაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ ცენტრს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა ევროკავშირის დამმობილების პროექტ Twinning-ის ფარგლებში, რომლის ძალისხმევითაც ცენტრში დაიწყო სწორი სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვა და კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ყველა მხარეს აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის.

საკოორდინაციო საბჭომ ხმათა სრული უმრავლესობით მხარი დაუჭირა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის წლიური ანგარიშის ცნობად მიღებას.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის მიხედვით, ცენტრის უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ბატონმა ნიკოლოზ ფარჯანაძემ წარმოადგინა ცვლილების პროექტი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული საფასურები.

ბატონმა ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიმართულებით, საქმიანობისა და კორპუსის წევრობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესით ექსპერტთა შერჩევის პროცედურების განვითარებისთვის აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაზე, მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო ექსპერტების მოძიების გეგმაზე, პოლიტიკაზე და მიდგომებზე. ცვლილებები ემსახურება პროცესის უფრო მეტად მოქნილობას, ეფექტიანობას და მიზანმიმართულობას. ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მთლიანი პროცესის შეფასება, რათა ნათელი წარმოდგენა არსებობდეს ყველა პროცედურაზე, რასაც ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესი ითვალისწინებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ასპექტია მთლიანი პროცესის ფარგლებში ექსპერტების შეფასება და სხვა პროცედურული საკითხები.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის და აკრედიტაციის შერჩევის სტატუსი მტკიცდება ცენტრის ინდივიდუალური სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტის საშუალებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა წარმოადგენს პრიორიტეტს, განსაკუთრებით დარგობრივ მახასიათებლებთან მიმართებაში კლასიფიკატორის გათვალისწინებით. ასევე, აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის შერჩევა და ამ ტიპის პროფესიონალების ჩართულობით პროცესი კიდევ უფრო ეფექტური და განვითარებაზე მეტად ორიენტირებული გახდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გამოცდილება. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ ფორმალური კვალიფიკაცია, მიმართულების შესაბამისად იგულისხმება კონკრეტული პრაქტიკული გამოცდილება და ამაზე დაფუძნებით უმაღლესი განათლების ექსპერტს არ უნდა ჰქონდეს სამ წელზე ნაკლები გამოცდილება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო ექსპერტზე. ნიკოლოზ ფარჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ კლასტერულ აკრედიტაციაში სავალდებულო ხდება საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს იმ სფეროს გამოცდილება, რომელშიც მოღვაწეობს, ასევე, შეფასების განხორციელების პრაქტიკა და ქართულ რეალობაზე მორგების შესაძლებლობა. დამატებით აღნიშნა, რომ ცენტრი მუშაობდა სხვადასხვა უცხოურ სააგენტოებთან ჰუმანიტარული კლასტერისთვის საერთაშორისო ექსპერტის მოძიებაზე. სტუდენტი ექსპერტების შემთხვევაში კი ცენტრი ორიენტირებული იყო ისეთ ექსპერტებზე, რომლებიც აქტიურები არიან. ახალი ექსპერტის შემთხვევაში, ცენტრი მაქსიმალურად ახდენდა მათ ინფორმირებას, რეგულაციების და პროცესების გაცნობას, რათა შემდეგ ისინი ეფექტურად მომზადებულიყვნენ შეფასებისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფებში დამსაქმებლის ყოფნა. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან ცენტრი აფასებდა საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც თავსებადი იყო შრომის ბაზართან, სადაც

მნიშვნელოვანი იყო, რომ სტუდენტს ჰქონოდა არამართო კვალიფიკაციის, არამედ დასაქმების უნარი.

რაც შეეხებოდა შეფასების პროცესს, ცენტრმა გაწერა მიმართულებები, პროცედურები და შეფასების ჩარჩო დოკუმენტი. ექსპერტების შეფასებისთვის ცენტრმა ასევე გაწერა შეფასების სქემა. გრძელვადიანი პერსპექტივით ეს გამოკვეთდა ძირითად ტრენდებს და ტენდენციებს.

საკოორდინაციო საბჭომ მხარი დაუჭირა ცვლილების პროექტის მიღებას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

მომდევნო პრეზენტაციაზე წარმოადგინეს ექსპერტთა ანაზღაურების წესში შეტანილი ცვლილება. ნიკოლოზ ფარჯანაძემ წარადგინა ძირითადი პარამეტრები, რასაც ცვლილებები ეყრდნობოდა. მან ნიმუშად ერთ-ერთი სცენარი აღწერა, თუ როგორ მიმდინარეობდა ანაზღაურების სქემა. კლასტერში მნიშვნელოვანი იყო დაჯგუფების პრინციპის განსაზღვრა და ექსპერტთა ანაზღაურება. ამ მიმართულებით უნდა გაიმიჯნოს რეგულირებადი და არარეგულირებადი პროგრამები. არარეგულირებადი საბაკალავრო საფეხურის პროგრამების შემთხვევაში როგორ მოხდება ანაზღაურება და რეგულირებადი და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში როგორია ცენტრის ხედვა. აღსანიშნავია, რომ ცენტრმა მაქსიმალურად გაითვალისწინა გაწეული შრომის მოცულობა, ოთხზე მეტი პროგრამის შემთხვევაში ერთმანეთისგან გამიჯნეს დარგის ექსპერტი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, სტუდენტი ექსპერტი და დამსაქმებელი ექსპერტი. ამ მიმართულებით მოლოდინია, რომ დარგის ექსპერტის და დამსაქმებელი ექსპერტის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობა გაცილებით დიდი იქნება. არ იგულისხმება ის, რომ რომელიმე ექსპერტის ჩართულობა ნაკლებად ღირებული იქნება, თუმცა, მოსალოდნელი სამუშაო რაც მათ უნდა შეასრულონ განსხვავებული იქნება. დარგის ექსპერტი და დამსაქმებელი ექსპერტი უნდა შევიდეს ცალკეული პროგრამის შემთხვევაში ყველა კონკრეტულ დეტალში. თავმჯდომარის ანაზღაურების შემთხვევაში, სტანდარტულად დადგენილ ანაზღაურებას დაემატება თანხა. მაგალითად, ორი პროგრამის შემთხვევაში 150 ლარი, ოთხი პროგრამის შემთხვევაში 200 ლარი და ა.შ. ცენტრის პოზიციას რომ ექსპერტი აღნიშნული ცვლილებებით დაფასებულად იგრძნობს თავს. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მონაწილეობას არა აქვს მხოლოდ ფინანსური ღირებულება. ექსპერტები დიდ ღირებულებას ქმნიან და ამ ღირებულებებით იგულისხმება მათი მონაწილეობა განათლების ხარისხის მიმართულებით მათი როლისა და მათ მიერ გაწეული წვლილის თვალსაზრისით. ეს მოდელი წარუდგინეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ამ მოდელმა მათი მოწონება დაიმსახურა.

საბჭომ მხარი დაუჭირა ცვლილებების პროექტს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

მომდევნო პრეზენტაციაზე წარმოადგინეს აკრედიტაციის საფასურები. აკრედიტაციის დებულების დანართში მოცემულია დაჯგუფების წესი და პირობები. ცენტრმა კომუნიკაციის პირობები გაშალა, ხდებოდა უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია, უკუკავშირის საფუძველზე აკეთებდნენ ანალოზს და ითვავალისწინებდნენ ყველა რელევანტურ რეკომენდაციას. პრეზენტატორმა კიდევ ერთხელ შეახსენა საბჭოს წევრებს კლასტერში პროგრამების დაჯგუფების პრინციპი. მოკლედ, წარმოადგინეს პროგრამის შეფასების პროცესში გათვალისწინებული პარამეტრები, ადმინისტრაციული ხარჯები, ექსპერტთა ანაზღაურება, საბჭოს ანაზღაურება, თარჯიმნის ანაზღაურება და საერთაშორისო ექსპერტის მივლინება. უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერული შეფასება მაქსიმალურად მომგებიანია საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რადგან კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასების ღირებულება ერთიანობაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პროგრამების ინდივიდუალურად შეფასების პირობებში. ასევე, ნაკლები დანახარჯით ხდება საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა არ არის ცენტრის თვითმიზანი. მისი ჩართულობა ნიშნავს მეტ ინტერნაციონალიზაციას, მეტ ობიექტურობას და მეტ წვდომას თანამედროვე წამყვან პრაქტიკებთან.

კითხვა-პასუხის ეტაზე, საბჭოს წევრმა ირმა ქურდაძემ დაზუსტება მოითხოვა ექსპერტის სტატუსის შეჩერების საფუძველთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლებოდა ექსპერტის შეფასების დაბალი გრადაცია სტატუსის შეჩერების საფუძველი ყოფილიყო. ასევე, ანაზღაურებასთან დაკავშირებით როგორ მოხდებოდა უმაღლესი განათლების ექსპერტის ანაზღაურება. ამის საპასუხოდ, დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ექსპერტის დაბალი შეფასება ვერ გახდებოდა მისი სტატუსის დაუყოვნებლივ შეჩერების საფუძველი და მათთვის გათვალისწინებული იქნებოდა შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები, ტრენინგები, კონსულტაციები და ამის შემდეგ თუ ვერ მოხდებოდა კვალიფიკაციის შესაბამისი ამაღლება, დადგებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუთავსებლობის საფუძველი. მეორე კითხვის საპასუხოდ, ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ ცენტრი არ მიიჩნევდა, რომ რომელიმე ექსპერტი ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია და ეს მიდგომაა გათვალისწინებული პროგრამების შემთხვევაში.

მომდევნო კითხვა ანაზღაურებასთან დაკავშირებით შალვა მეკრავიშვილმა დასვა. ის დაინტერესდა წინა სქემასთან შედარებით, ერთი და იგივე მოცემულობის სამუშაოში რამდენად მეტს აუნაზღაურებენ ექსპერტს. საპასუხოდ აღინიშნა, რომ ცალკეულ პროგრამასთან მიმართებით, მინიმუმ 100 ლარითაა გაზრდილი ანაზღაურება, მაგრამ შემდეგ ბიჯებით იმატებს და საგრძნობია ანაზღაურების მომატება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვალსაზრისით და მაქსიმალურად დაფასებულია ექსპერტის შრომა. აღსანიშნავია მეორე პერსპექტივაც: ინდივიდუალურად შეფასებული ორი პროგრამა და კლასტერში დაჯგუფებული ორი პროგრამა თითქმის ერთი და იგივე ხარჯზე გადის, მაგრამ სამი პროგრამიდან უკვე იკლებს დაწესებულების ხარჯი. 8 პროგრამის შემთხვევაში, თითქმის 50%-ზე ნაკლებია ვიდრე ცალკე შეფასებები. აქ შედის საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობაც.

მომდევნო კითხვა საერთაშორისო ექსპერტების რაოდენობასთან დაკავშირებით კაი ეტზოლტმა დასვა, ის დაინტერესდა პროცესში ჩართული საერთაშორისო ექსპერტების რაოდენობით. ამის პასუხად, ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ ცენტრი ემზადებოდა ამ პროცესებისთვის და 2022

წელს, ჰუმანიტარული კლასტერისთვის ამ პროცესში ცენტრს სურდა მინიმუმ 10 საერთაშორისო ექსპერტის ჩართვა, ამ მიზნით კი უკვე იდენტიფიცირებული იყო 25 საერთაშორისო ექსპერტი, დამატებით სამსახურს კომუნიკაცია ჰქონდა პარტნიორ სააგენტოებთან შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტების მოსაზიდად.

საბჭომ მხარი დაუჭირა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული საფასურების მიღებას.

მომხრე:10

წინააღმდეგი: 0

შემდეგი პრეზენტაცია ეხებოდა 2022 წლიდან ძალაში შესულ საკანონმდებლო ცვლილებებს კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოებაში და ცენტრის სამოქმედო გეგმას აღნიშნული ცვლილებების დანერგვის კუთხით. პრეზენტაცია წარმოადგინა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა, ბატონმა გიორგი გვასალიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ვადები შეიცვალა და გაიყო ორ ეტაპად - პირველი ეტაპი მოიცავდა 18 თვეს, ხოლო მეორე ეტაპი - 6 თვეს. საკოორდინაციო საბჭოს უფლება მოვალეობებს დაემატა საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის და მისი დანერგვის სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება. ცვლილება შეეხო ასევე ადმინისტრაციული კანონის დარღვევისას პასუხისმგებლობებს. თითქმის ყველა ეტაპზე დაემატა ფინანსური ჯარიმები. პრეზენტაციის დროს ასევე განხილულ იქნა საკოორდინაციო საბჭოს როლი ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის დანერგვაში, დოკუმენტის სტრუქტურა.

ბატონმა კახა ერაქემ განმარტების სახით აღნიშნა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის და მისი დანერგვის სამოქმედო გეგმის არსებობის ვალდებულება ყველა დაწესებულებას არ გააჩნია. ცენტს ეს ვალდებულება დაეკისრა მისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე. ცენტრში არსებობდა ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც განიხილავდა ინფორმაციული უსაფრთხოების ოპერაციულ დოკუმენტებს, ხოლო საკოორდინაციო საბჭო განიხილავდა და ამტკიცებდა იუმს-ის პოლიტიკის დოკუმენტს.

გიორგი გვასალიამ წარმოადგინა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავდა პირველ 18 თვეს. სამოქმედო გეგმაში ასახული იყო როგორც ორგანიზაციული კონტექსტი, ასევე შიდა და გარე აუდიტის აქტივობები და ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების მტკიცებულებები.

ასევე, აღნიშნა, რომ ადრე არ არსებობდა გარე აუდიტის ჩატარების ვადებულება, თუმცა ამისი აუცილებლობა დადგა საკანონმდებლო მოთხოვნით. სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპზე გათვალისწინებული იყო შიდა აუდიტის ჩატარება, ხოლო მეორე ეტაპის დასრულებისას ოპერატიული-ტექნიკური სააგენტო თვითონ იღებდა აუდიტის ჩატარების ვალდებულებას. ამის შემდეგ შეირჩეოდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ჩატარებდა ცენტრში ინფორმაციული უსაფრთხოების გარე შემოწმებას.

საბჭო დაეთანხმა ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის დამტკიცებას.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავჯდომარემ კენჭი უყარა ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანას, რომლის მიხედვითაც ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტს განიხილავს და დამტკიცებს საკოორდინაციო საბჭო, ხოლო პოლიტიკის დანერგვის სამოქმედო გეგმას და სხვა ოპერაციულ დოკუმენტებს - ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო.

საბჭო დაეთანხმა ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანას, რომლის მიხედვით საკოორდინაციო საბჭო განიხილავდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხი ეხებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციას და ცენტრის დებულებაში განსახორციელებელ შესაბამის ცვლილებებს. პრეზენტაცია წარმოადგინა ცენტრის დირექტორის მოდელიემ, ლაშა მარგიშვილმა.

ცენტრს დაემატა ახალი ფუნქცია - ადრეული აღზრდის და/ან განათლების და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის განხორციელება და შესაბამისად, ამ ფუნქციის შესასრულებლად გაჩნდა ახალი სამსახური - არეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ახალი ფუნქციების დამატებამ გამოიწვია ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს სამუშაოს მოცულების ზრდა. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი სამსახურად გადაკეთების შესახებ. შემდეგი ცვლილება ეხებოდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და მისი დანერგვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების პროცედურების ცვლილებას, რაც წინა პრეზენტაციაში იყო განხილული და ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით ცვლილებებს ცენტრის საშტატო ნუსხაში.

2022 წლის 15 თებერვალს დამტკიცდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც ცენტრს დაევალა 2000-მდე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის განხორციელება 2030 წლამდე. ცენტრში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობის ანალიზის შედეგად გადაწყდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა, რომლის ფუნქციებდაც განისაზღვრა: მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ავტორიზაციის პროცესის განხორციელება და შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა; ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების პროცესში ჩართულობა და რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის

პროცესის განხორციელება; ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება; ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სამუშაო შეხვედრების ჩატარება; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული, ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დაწესებულებების, ექსპერტთა კორპუსის წევრების, ამ საქმიანობის წარმართვისთვის შესაბამისი საბჭოების წევრებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის განმავითარებელი ღონისძიებების (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა) დაგეგმვა და განხორციელება; დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადების პროცესის მხარდაჭერა; ექსპერტთა საქმიანობის შეფასების პროცესის მართვა და განხორციელება, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა.

ცენტრში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფასთან ერთად ცენტრი იწყებს საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსური სამმართველოს დატვირთვას და მრავალფეროვანს ხდის. შესაბამისად, გადაწყდა აღნიშნული სამმართველოს სამსახურად გადაკეთება იმ დათქმით, რომ ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის იანვრიდან, რათა არ გამოიწვიოს სამტატო ნუსხისა და ბიუჯეტის ცვლილებები. ასევე, ახალი სამსახურის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით გადაწყდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, შიდა აუდიტის და კვალიფიკაციების განვითარების სამსახურებში არსებული ვაკანტური სამტატო ერთეულების ეფექტური გადანაწილება და გადატანა ახლად შექმნილ სამსახურში. ფინანსური სახსრებისა და ვაკანტური ადგილების ეფექტურმა გადანაწილებამ გამოიწვია ის, რომ სამტატო ერთეულების ჯამური რაოდენობა და ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხები არ იზრდება.

კითხვა-პასუხის ეტაპზე საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დასვა კითხვა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია შეეხება თუ არა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ერთნაირად.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, კახა ერაქემ განმარტების სახით აღნიშნა, რომ როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირები ერთსა და იმავე მომსახურებას გაწევენ და ცენტრს ერთნაირი მიდგომა აქვს მათ მიმართ. რამდენადაც აქამდე არ არსებობდა ამ მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ერთიანი რეესტრი და არ არსებობდა ზუსტი ინფორმაცია მათ შესახებ, აპრილში დაიგეგმა სპეციალური პლატფორმის გახსნა რეგისტრაციისათვის, რომელიც ღია იქნებოდა წლის ბოლომდე და ყველა კერძო და საჯარო დაწესებულება ვალდებული იქნებოდა გაეგლო რეგისტრაცია. ამის შემდეგ დაწესებულებას უფლება მიენიჭებოდა განეგრძო საქმიანობა ავტორიზაციის მინიჭებამდე. 2023 წელი დაწესებულებებისთვის იქნება თვითშეფასების წელი. მათი თვითშეფასების ანგარიშებზე დაყრდნობით ცენტრი შეადგენდა და დაამტკიცებდა ავტორიზაციის გეგმას, რომელშიც მოხვდებოდნენ როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებები და 2030 წლამდე გეგმის შესაბამისად გაივლიდნენ ავტორიზაციას.

საბჭოს წევრმა ირინა ქურდაძემ დასვა კითხვა, ცენტრის რესურსი იქნება თუ არა საკმარისი დიდი რაოდენობის სკოლამდელი დაწესებულებების ხარისხის უზრუნველსაყოფად თავისი უკვე არსებული ფუნქციების გათვალისწინებით.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, კახა ერაძემ განმარტა, რომ ცენტრმა მოახდინა მის ფარგლებში, სხვადასხვა სამსახურებში არსებული რესურსის მობილიზება, ასევე ამ პროცესში ჩართული არიან სხვა სამინისტროები, მაგ. ჯანდაცვის, ფინანსთა და სხვა. ასევე, მუნიციპალიტეტები და საკრებულოები. მდგომარეობას ართულებს ის, რომ ყველა სტანდარტი ჯერ არ არის მზად. თუმცა გამოჩნდნენ დონორები, რომლებიც დაგვეხმარებიან სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერებაში. მომავალი წლიდან ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული დაგეგმილი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა. თავისი კომპეტენციის ნაწილში ბევრი მხარე იყო ჩართული და ყველა ერთიანი ძალისხმევით შექმნიდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.


საბჭოს თავმჯდომარემ, რუსუდან სანაძემ კენჭი უყარა ცენტრის დებულებაში წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელებას. დამსწრეთა სრული თანხმობით საბჭო დაეთანხმა ცენტრის დებულებაში შესატან ცვლილებებს.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარე:

რუსუდან სანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი; საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე



სხდომის მდივანი:

მაკა აბულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი



დანართი 1

საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები:
ა) რუსუდან სანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი; საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე;
ბ) კაი ეტჰოლდი - უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი;
გ) ჰელი მატისენი - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი;
დ) შალვა მეკრაიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმა დანერგვა და მონიტორინგი". პროგრამის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქვეპროგრამის" ფარგლებში სამოქალაქო განათლების ექსპერტი;
ე) მაკა აბულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;
ვ) ირმა ქურდაძე - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზ) ნათია ჯოჯუა - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
თ) მაია მუხომვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი;
ი) ანასტასია ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;
კ) თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამის განათლების მენეჯმენტისა და ინოვაციების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას არ ესწრებოდნენ:
ა) ზაზა ფურცელაძე - ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში;
ბ) კახაბერ ჭელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

დანართი 2

საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი:

დრო	განსახილველი საკითხი	მომხსენებელი	პოზიცია, ორგანიზაცია
19:00 - 19:10	მისალმება	თამარ მახარაშვილი	დირექტორი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
19:10 - 19:35	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის წლიური ანგარიში	ლაშა ზივზივაძე	დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
19:35 – 19:55	კითხვა- პასუხი		

19:55-20:10	ცვლილების პროექტი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
20:10-20:25	ცვლილებების პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

20:25-20:40	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული საფასურები	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
20:40-21:05	კითხვა-პასუხი		
21:05-21:25	იუმს 2022 წლის სამოქმედო გეგმა	გიორგი გვასალია	ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
21:25-21:35	ცვლილებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებაში - <i>ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა</i>	გიორგი გვასალია	ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
21:35-21:45	კითხვა-პასუხი		
21:45 - 22:05	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეორგანიზაცია	ლაშა მარგიშვილი	დირექტორის მოადგილე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
22:05-22:25	კითხვა - პასუხი		
22:25-22:35	შეხვედრის შეჯამება		